თბილისის „დინამოს" კალათბურთელებმა მეოთხედ მოიპოვეს სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლები

თბილისი. სპორტის სასახლე. 22 აპრილი.
„დინამო" (თბილისი) — ვეფ (რიგა) 86:76 (36:37).
„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ": ლეჟავა (9), ქორქია (23), უგრეხელიძე (10), ალთაბაევი (14), ნარიმანიძე (8), ქარაბაკი (12), მალალაშვილი (6), ბოლქვაძე (2), ჩიხლაძე (2), მოსეშვილი, მამალაძე.
ვეფ: მეჟმალისი (2), ბოგდანოვიჩი (6), ოზერსი (6), კრუმინში (2), იურგენსონი (13), დრაკე (10), გულბისი (20), იაუნზემესი (3), კაცენსი (9), ნაუჯუნსი (5) მერკსონსი, ილიჩოვი.
მსაჯები: ა. ზინჩენკოვი, ვ. ივანოვი (ორივე — მოსკოვი).

80:74

ᲯᲔᲠᲘᲜ...

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲨᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲛᲐ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲛ" ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲐᲢᲩᲘᲪ ᲛᲝᲣᲒᲝ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲕᲔᲤ-Ს — 80:74 (36:42). ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲐᲒᲠᲝᲕᲔᲡ 30 ᲥᲣᲚᲐ ᲓᲐ, ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲗᲐ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ, ᲛᲝᲘᲮᲕᲔᲭᲔᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲬᲝᲓᲔᲑᲐ.

ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ლელო

№ 80 (3564) 24 1968 წ. აპრილი. ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 24-Ე ᲬᲔᲚᲘ.

ოქროს ზენიტში

1. ... 1950 წლის 10 სექტემბერი, ვილნიუსი. თბილისის „დინამოს" კალათბურთელებმა პირველად მოიპოვეს სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლები.

... 1953 წლის 19 სექტემბერი, თბილისი. დინამოელები მეორედ იპყრობენ საკალათბურთო ოლიმპოს.

... 1954 წლის 2 სექტემბერი, კიევი. თბილისის „დინამო" კვლავ უძლიერესია საბჭოთა კავშირში!

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. გავიდა წლები, უფრო ზუსტად, ბრძოლითა და დრამატიზმით აღსავსე 13 სეზონი და აი, ჩვენი სახელოვანი კოლექტივი კვლავ დიდ გამარჯვებას ზეიმობს.

... 1968 წლის 23 აპრილი, თბილისი, საკავშირო ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე თბილისის „დინამო" მეოთხედ გახდა ოქროს მედლების ლაურეატი.

ამ სურათზე თქვენ ხედავთ თბილისის დინამოელთა ზღვა სიხარულს, მარცხნიდან — ლ. მოსეშვილი, ზ. ლეონტიევი, ვ. ნარიმანიძე, თ. ჩიხლაძე.

ზ. ბერიაშვილი — მეორე, გ. სალარაძე — მესამე...

ᲛᲐᲮᲐᲩᲙᲐᲚᲐ, 23 აპრილი. აქ დამთავრდა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა საკავშირო ჩემპიონატი ოთხ წონაში. მჩატე წონაში იმარჯვა მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა ა. ალიევმა (რსფსრ), მსუბუქ წონაში პირველობა მოიგო ი. გუსოვმა (რსფსრ). II ადგილზე გავიდა თბილისელი ზ. ბერიაშვილი. ქვესაშუალო წონაში ოქროს მედალი მოიპოვა ი. შახმურადოვმა (რსფსრ). გ. სალარაძე ბრინჯაოს მედლით დაკმაყოფილდა. მძიმე წონაში უძლიერესის სახელი მინსკელ ა. მედვედს ხვდა.

[illegible]

● **ᲡᲘᲢᲔᲜᲓᲝᲠᲤᲘ** (ავსტრია), 23 აპრილი. ბრწყინვალედ აიღო მოტოკროსში წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის სტარტი ცნობილმა მრბოლელმა პ. ფრიდრიხსმა (გდრ). „500-ანების" აქ გამართულ კროსში, რომელიც ამ მარათონული შეჯიბრების პირველი ეტაპი იყო, მან ყველას აჯობა. საბჭოთა მოტოკროსმენთაგან საუკეთესო იყო ვ. ბრუნისი, რომელმაც V ადგილი დაიკავა „ავსტრიის ეტაპზე". VI ადგილზეა სსრ კავშირის ჩემპიონი გ. დრაუგსი.

● *ᲡᲔᲕᲚᲘᲔᲕᲝ, 23 აპრილი. ბულგარელი ათლეტების დ. კოლოვისა და ნ. პეტროვის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტრადიციულ ტურნირში საბჭოთა მოჭიდავეებმა 6 საპრიზო ადგილი დაიკავეს. სათვალავით ამ მეშვიდე შეჯიბრებაში 14 ქვეყნის 183 სპორტსმენი მონაწილეობდა. „კლასიკოსთა" შორის ქვემსუბუქ წონაში საუკეთესო იყო მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ი. გრიგორიევი (ზაპოროჟიე). უმჩატეს წონაში II ადგილი დაიკავა ბაქოელმა მ. მუსაევმა. ლენინგრადელი ს. აბდულაევი მესამე იყო ქვესაშუალო წონაში. თავისუფალი სტილის მოჭიდავეებში III ადგილები დაიკავეს მოსკოველმა გ. ვენგლინსკიმ (მსუბუქი წონა), აშხაბადელმა ფ. კალოევმა (ქვესაშუალო) და თბილისელმა შ. პაპაშვილმა (საშუალო). ხალიჩის მასპინძლებმა, რომლებმაც ყველაზე მეტი მონაწილე გამოიყვანეს, თანაც, საუკეთესონი, 25 საპრიზო ადგილი მოიხვეჭეს.*

საათი

◆ ᲝᲓᲔᲡᲐ, 23 აპრილი. ტყვიის მსროლელთა საკავშირო პირად-გუნდურ შეჯიბრებაში 2 საკავშირო რეკორდი გაუმჯობესდა: სვერდლოვსკელმა ნ. სტოლიაროვამ ნებისმიერი მცირეკალიბრიანი პისტოლეტით 50 მეტრიდან 30 გასროლით 282 ქულა მოაგროვა, რაც ერთი ქულით სჯობს სპორტის დამსახურებულ ოსტატ თ. ლომოვას მიერ 10 წლის წინ დამყარებულ მიღწევას. რსფსრ-ს გუნდმა კი, რომლის შემადგენლობაში სტოლიაროვას გარდა ნ. იბრაგიმოვა და თ. ივანოვა იყვნენ, 821 ქულა მოაგროვა. ეს 5 ქულით მეტია საბჭოთა არმიის ნაკრების მიერ 1965 წელს დამყარებულ რეკორდზე. პეტროზავოდსკის უნივერსიტეტის სტუდენტმა ვ. პოსტოიანოვმა „გაქცეულ ირემზე" 50 ერთმაგი გასროლით გაიმეორა სსრ კავშირისა და მსოფლიოს რეკორდი (239 ქულა).

მიხეილ ტალის უხეირო სტარტი

ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘ, 23 აპრილი. მარცხით დაიწყო იუგოსლაველ დიდოსტატთან ს. გლიგორიჩთან მსოფლიო პირველობის მეოთხედფინალური მატჩი მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა, საბჭოთა მოჭადრაკემ მ. ტალმა. გუშინ ხანმოკლე თამაშის შემდეგ მან დათმო წინადღით გადადებული პარტია.

პარტია ასეთ პოზიციაში იყო გადადებული: **ᲢᲐᲚᲘ** (თეთრები) — მფh2, ეg6, პპ. f2, g2, h3; **ᲒᲚᲘᲒᲝᲠᲘᲩᲘ** (შავები) — მფd5, ეb7, ეe3, პპ. c5, g7.

დამთავრება ასე მიმდინარეობდა: 41. fe ეc7 42. მფg3 c4 43. მფf4 c3 44. e4+ მფc4 45. ეa6 c2 46. ეa1 მფd3. ტალი დანებდა.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲮᲔᲚᲑᲣᲠᲗᲨᲘ

დავას 8 გუნდი გააგრძელებს

ᲛᲘᲜᲡᲙᲘ, 23 აპრილი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). ხელბურთელ ვაჟთა ჩემპიონატის I წრის ბოლო მატჩი თბილისის „ბურევესტნიკს" მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის კოლექტივთან ჰქონდა. თბილისელებმა შეხვედრა კარგად დაიწყეს, მაგრამ თანაბარი ბრძოლა დიდხანს არ გაგრძელდა. მოსკოველებმა მალე შეძლეს უპირატესობის მოპოვება და გაიმარჯვეს — 29:22 (16:11).

სხვა მატჩების შედეგები ასეთია: „ალუმინსტროი" (ზაპოროჟიე) — ასკ (ბაქო) 22:18, „ჟალგირისი" (კაუნასი) — ასკ (ლვოვი) 22:16, „ბურევესტნიკი" (ტაშკენტი) — ასკ (კიევი) 24:24, „დაუგავა" (რიგა) — „ბურევესტნიკი" (კრასნოდარი) 17:15, „პოლიტექნიკი" (მინსკი) — „კუნცევო" (მოსკოვი) 21:31.

პირველ 8 ადგილზე გასული გუნდები ორ წრედ გაითამაშებენ პირველობას, ეს დასკვნითი მატჩები გაიმართება სექტემბერ-ოქტომბერში. გუნდებს I წრეში მოპოვებული ქულები თან გაჰყვებათ. მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის ხელბურთელებმა 21 ქულა დააგროვეს. მომდევნო ადგილებზე არიან: „კუნცევო" (მოსკოვი) — 18, „ალუმინსტროი" (ზაპოროჟიე) — 13, ასკ (კიევი)—12, „ბურევესტნიკი" (თბილისი), „ბურევესტნიკი" (კრასნოდარი) — 11-11, „ჟალგირისი" (კაუნასი), „დაუგავა" (რიგა) — 10-10. IX და X ადგილები დაიკავეს მინსკის „პოლიტექნიკმა" (9) და ლვოვის ასკ-მ (8). XI-XII ადგილებზე გასული გუნდები — ტაშკენტის „ბურევესტნიკი" (7) და ბაქოს ასკ (2) გაისად „ა" კლასის II ლიგაში ისპარეზებენ.

ტურნირის ორგანიზატორებმა რამდენიმე პრიზი დააწესეს. ჩემპიონატის საუკეთესო გარემარბისთვის დაწესებული ჯილდო გადაეცა სსრ კავშირის ნაკრების წევრს იმედო ფხაკაძეს.

ჯ. ᲔᲜᲣᲥᲘᲫᲔ.

ოქროს ცეცხლში

2. გაცხარებული თამაშის დროს მოედანზე ემოციებს ფართო გასაქანი აქვს და სპორტსმენებიც მოვლენათა მსვლელობას თითქოს ნაკლებად განიცდიან. გარედან ყველაფერი უკეთ ჩანს და ამიტომაც „სკამზე მსხდომნი“ შესაძლოა მეტადაც ნერვიულობენ. ყოველ შემთხვევაში, ვერც ლ. მოსეშვილზე და ვერც ა. სხიერელზე ვერ იტყვით, რომ ისინი მშვიდად უყურებენ ბრძოლას.

• • •

ა. ლეჟავა მუდამ მეტოქეთა გარემოცვაშია. მის წინააღმდეგ, როგორც წესი, ჭარბი ძალებით იბრძვიან. მაგრამ თბილისელი სპორტსმენი დიდი ხანია შეეჩვია ამ „უსამართლობას“. მას, როგორც ცენტრალურ თავდამსხმელს, გაცილებით მეტი საზრუნავი აქვს, ვიდრე ჩივილი ამ უთანასწორობათა შესახებ.

სურათზე: ლეჟავა ლენინგრადის სპარტაკელთა გარემოცვაში. მარცხნიდან — ი. ბიკოვი, ლ. ივანოვი (წაქცეული) და ვ. ფიოდოროვი. აქვე არიან ლეჟავას თანაგუნდელები ზ. ქარაბაკი და რ. მამალაძე.

დინამოელთა გაჭირვების ჟამს ტალკვესი, აგრესიული თავდამსხმელი ვ. ალთაბაევი საჭიროების დროს საკუთარი კალათის უსაფრთხოების საიმედო გუშაგიც არის. ალთაბაევი არ ირჩევს მეტოქეს: იგი ისეთივე აზარტით და თავგამოდებით ებრძვის ორმეტრიან გიგანტებს, როგორც ტანმორჩილ, ვერცხლისწყალივით სწრაფ გამთამაშებლებს. ამაშია ალთაბაევის უნივერსალიზმის ძალა.





სურათზე: ალთაბაევი და მისი მეურვე — ლენინგრადელთა ორმეტრიანი ცენტრი ლ. ივანოვი.

სტუდენტთა თამაშები

სტუდენტთა VI რესპუბლიკური თამაშების [illegible] მარტის 25 ხახობა შედის. ასპარეზობა ლენინური კომკავშირის 50 წლისთავს ეძღვნება. შეჯიბრებები უმეტესად თბილისში მოეწყო, მხოლოდ მოკრივენი იასპარეზებენ ცხინვალში, ხოლო მოჭიდავეები (სამბო, თავისუფალი, კლასიკური და ქართული ჭიდაობა) — გორში. თამაშებში მონაწილეობს რესპუბლიკის 18 უმაღლესი სასწავლებლის 3000-მდე სტუდენტი. შესარჩევ შეჯიბრებებში 15 ათასამდე სტუდენტი გამოვიდა. სპორტულ ტანვარჯიშში გამართული ტურნირის შედეგები უკვე გაგაცანით. ახლა მოგვყავს მაგიდის ჩოგბურთელთა და მოჭადრაკეთა ტურნირების შედეგები.

უკეთ უნდა ჰატარებლეთ

ჩვენი მოწინავე მოჭადრაკეების უმრავლესობას სტუდენტები წარმოადგენენ. ამიტომ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების მოჭადრაკეთა გუნდური პირველობა უაღრესად საინტერესო იყო.

ბრძოლაში 18 უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლები ჩაებნენ. თვითეულ გუნდში 3 ვაჟი და 1 ქალი შედიოდა. ჭადრაკის დაფებზე გამოვიდა 2 საერთაშორისო ოსტატი, 2 სპორტის ოსტატი, 5 ოსტატობის კანდიდატი და 44 პირველთანრიგოსანი.

ორგანიზატორები საგონებელს მიეცნენ: რა სისტემით ჩაეტარებინათ პირველობა, რომ ხუთი დღე ეყმარათ და ტურნირი საკვალიფიკაციო მნიშვნელობისაც ყოფილიყო? პირველი საკითხი იოლად გადაწყდა, მეორე კი გადაუჭრელი დარჩა. საქმე ისაა, რომ გუნდურ შეჯიბრებაში თანრიგის მისაღებად მოჭადრაკემ, სულ ცოტა, 6 პარტია მაინც უნდა ითამაშოს.

გუნდები ოთხ ქვეჯგუფში განაწილდნენ. შეჯიბრებები წრიული სისტემით ჩატარდა. გამარჯვებულთა ოთხეულმა (პოლიტექნიკური ინსტიტუტი, უნივერსიტეტი, სამედიცინო და ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტები) ბრძოლა ოლიმპიური სისტემით განაგრძო. ნახევარფინალში ერთნაირი ანგარიშით (3,5:0,5) უნივერსიტეტელებმა მოუგეს ბათუმელებს, ხოლო მომავალმა ინჟინრებმა — სამედიცინო ინსტიტუტის წარმომადგენლებს. ერთნაირი ანგარიშით (2,5:1,5) დამთავრდა პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის, სამედიცინო ინსტიტუტისა და ბათუმის პედინსტიტუტის მოჭადრაკეთა დასკვნითი მატჩებიც.

გაგაცნობთ პირველობის საბოლოო შედეგებს: I. პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თ. გიორგაძე, მ. თხელიძე, ზ. მიქაძე, ც. კახაბრიშვილი), II. უნივერსიტეტი (ა. ბოკუჩავა, თ. ჯახუტაშვილი, ჰ. არნშტეინი, ნ. ალექსანდრია), III. სამედიცინო ინსტიტუტი (ო. ჩხეიძე, ნ. ფარღალავა, რ. სიგუა, მ. თევზაძე), IV. ბათუმის პედინსტიტუტი (გ. ჭანტურია, ა. ყურაშვილი, ნ. ნეურონოვი, ლ. შავთვალიშვილი), V. უცხო ენათა ინსტიტუტი (ნ. გაფრინდაშვილი, ბ. გაბრიაძე, ვ. მუქერია, მ. ჩომახიძე), VI. ცხინვალის პედინსტიტუტი, VII. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, VIII. გორის პედინსტიტუტი, IX. სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტი, X. ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტი, XI. თელავის პედინსტიტუტი, XII. თბილისის პედინსტიტუტი, XIII. კონსერვატორია, XIV. ქუთაისის პედინსტიტუტი, XV. სოხუმის პედინსტიტუტი.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის, სამხატვრო აკადემიისა და თეატრალური ინსტიტუტის მოჭადრაკეებს შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

დაბოლოს, პირველობის ორგანიზაციის შესახებ. მსაჯთა კოლეგიამ (მთავარი არბიტრი გ. ოსიპოვი) საუცხოოდ იმუშავა, მაგრამ შეჯიბრება ჭადრაკის პროპაგანდისთვის სრულიად არ გამოუყენებიათ. არსად ჩანდა აფიშები, ლოზუნგები, მხატვრულად გაფორმებული ცხრილები. თავს იმით იმართლებენ, სახსრები არ გვეყოო. სხვათა შორის, სწორედ ამ მიზეზით არ მოხერხდა შეჯიბრების ერთი დღით გაგრძელება, რის გამოც ბევრმა მოჭადრაკემ სპორტული თანრიგი ვერ აიმაღლა. თამაშების ორგანიზატორებს — უმაღლესი და სპეციალური საშუალო განათლების სამინისტროსა და „ბურევესტნიკს“ მეტი ყურადღება უნდა მიექციათ მოჭადრაკეთა ტურნირისთვის, რომელშიც თვით მსოფლიო ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი თამაშობდა.

ჭ ა დ რ ა კ ი

დიდი ბრძოლა პატარა ჩოგნით

მაგიდის ჩოგბურთელთა ტურნირმა 14 გუნდს მოუყარა თავი. შეჯიბრება თავდაპირველად ოთხ ქვეჯგუფში მოეწყო, ქვეჯგუფებში I ადგილზე გასულმა კოლექტივებმა კი ფინალში ბრძოლის უფლება მოიპოვეს, სადაც ასპარეზობა წრიული სისტემით გაიმართა.

ფინალში გავიდნენ ბათუმისა და ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტების, უნივერსიტეტისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენლები. თავიდანვე აშკარა გახდა, რომ პირველობის ბედს ბათუმის პედაგოგიური და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტების გუნდების მატჩი გადაწყვეტდა, ვინაიდან რესპუბლიკის უძლიერესი სპორტსმენები სწორედ ამ გუნდებში გამოდიოდნენ.

ბათუმელებმა იოლად დაამარცხეს ქუთაისის პედინსტიტუტისა და უნივერსიტეტის კოლექტივები (9:6, 9:2). იმავე მეტოქეებს უფრო დამაჯერებლად მოუგეს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენლებმა (9:1, 9:0). დადგა დრო და ტურნირის ფავორიტები ერთმანეთს შეხვდნენ.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის ღირსებას იცავდნენ რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონები და პრიზიორები თ. რამაზაშვილი, გ. მელაძე, ა. გიკაშვილი (ვაჟები), რ. მკრტჩიანი, ბ. პერელმანი (ქალები). ბათუმელთა გუნდში გამოდიოდნენ ო. კაპლანიანი, გ. ოვაკიმიანი, დ. თადუმაძე (ვაჟები), საქართველოს ქალთა მრავალგზის ჩემპიონი ს. პარფინიდი და ლ. ავდალიანი.

გაგაცნობთ ამ შეხვედრის ტექნიკურ შედეგებს (პირველად ვასახელებთ პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენლებს, ბოლოში ნაჩვენებია მატჩის მსვლელობა).

რამაზაშვილი — ოვაკიმიანი 2:0 (26:24, 21:15). 1:0.
მკრტჩიანი — პარფინიდი 0:2 (12:21, 19:21). 1:1.
მელაძე — კაპლანიანი 0:2 (22:24, 17:21). 1:2.
პერელმანი — ავდალიანი 2:0 (21:17, 21:14). 2:2.
გიკაშვილი — თადუმაძე 2:0 (21:15, 21:17). 3:2.
რამაზაშვილი — მელაძე — ოვაკიმიანი — კაპლანიანი 2:0 (21:19, 21:14). 4:2.
მელაძე — ოვაკიმიანი 0:2 (17:21, 18:21). 4:3.
მკრტჩიანი — ავდალიანი 2:0 (21:16, 21:18). 5:3.
რამაზაშვილი — თადუმაძე 2:0 (21:15, 21:14). 6:3.
პერელმანი — პარფინიდი 0:2 (17:21, 5:21). 6:4.
გიკაშვილი — კაპლანიანი 2:0 (21:15, 21:17). 7:4.
მკრტჩიანი — პერელმანი — პარფინიდი — ავდალიანი 1:2 (18:21, 21:17, 15:21). 7:5.
მელაძე — თადუმაძე 2:0 (21:14, 21:15). 8:5.
გიკაშვილი — ოვაკიმიანი 1:2 (21:23, 21:16, 16:21). 8:6.
რამაზაშვილი — კაპლანიანი 2:0 (21:11, 21:19). 9:6.

დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: უნივერსიტეტი, ქუთაისის პედინსტიტუტი, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი, ცხინვალის პედინსტიტუტი, უცხო ენათა პედინსტიტუტი, თელავის პედინსტიტუტი, გორის პედინსტიტუტი, თბილისის კონსერვატორია, თბილისის ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტი, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი, სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი, სოხუმის პედინსტიტუტი.

მ ა გ ი დ ი ს ჩ ო გ ბ უ რ თ ი

„ლელოს“ ბრიგადა.

იზრდება ოსტატთა რიგები

თელავის სპორტსკოლის დარბაზში გამართულმა „კოლმეურნის“ ახალგაზრდა ძალოსანთა რესპუბლიკურმა პირველობამ დიდი ინტერესი გამოიწვია. საქართველოს სპორტკავშირმა შარშან რესპუბლიკის ყველა ფიზკულტურულ ორგანიზაციას დაავალა მეტი ყურადღება მიექციათ ახალგაზრდობაში ძალოსნობის დანერგვა-განვითარებისთვის. ამიტომ იყო, რომ „კოლმეურნის“ ცენტრალურმა საბჭომ ზოგიერთ რაიონში მოზარდთა ჯგუფებიც ჩამოაყალიბა.

შეჯიბრებამ ბევრი პერსპექტიული ათლეტი გამოავლინა. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ მასპინძელთა წარმომადგენლები (მწვრთნელი — რ. საამოვი), რომელთაც დამსახურებული გამარჯვება მოიპოვეს გუნდურ ჩათვლაში. II ადგილზეა მახარაძის რაიონის გუნდი, III — აჭარის კოლექტივი.

ახალგაზრდებთან ერთად ფიცარნაგზე გამოვიდნენ „კოლმეურნის“ უძლიერესი ძალოსნებიც, რომლებიც წლეულს სოფლის ახალგაზრდობის I საკავშირო სპორტულ თამაშებში მიიღებენ მონაწილეობას.

კარგი შედეგები ჰქონდა სპორტის ოსტატ ჯ. გოგსაძეს, რომელმაც სამჭიდში რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა მსუბუქი წონის ძალოსნებისთვის — 375 კგ. ქ. ნადირაძემ სპორტის ოსტატის კანდიდატის ნორმა შეასრულა. სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულეს ი. კერესელიძემ და ქ. ქავთარაძემ.

ახალგაზრდებიდან ცალკეულ წონით კატეგორიებში პირველნი იყვნენ: მჩატე წონაში — თ. მურუზიდი — 207,5 კგ, ქვემსუბუქში — თ. თევდორაძე — 255, მსუბუქში — ა. ნეტკოვი (სამივე — აჭარა) — 270, ქვესაშუალოში — ზ. კაპანაძე (ჭიათურა) — 317,5, საშუალოში — რ. მაისურაძე (თელავი) — 322,5, ქვემძიმეში — რ. იმნაძე (მახარაძე) — 287,5, მძიმეში — რ. ძნელაძე (წყალტუბო) — 290.

ზ. კულულაშვილი.

თბილისის ტექნიკუმების სპარტაკიადა

ორივეში — მანქანათმშენებლები

ფრენბურთელთა ტურნირი ექვს დღეს გაგრძელდა. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ პოლიტექნიკური, მანქანათმშენებლობის, კოოპერაციული, საფინანსო, ეკონომიური, ტოპოგრაფიული, მსუბუქი მრეწველობის, რკინიგზის, სავაჭრო და ინდუსტრიული ტექნიკუმების კოლექტივები.

ქალებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. მანქანათმშენებელი, 2. პოლიტექნიკური, 3. ტოპოგრაფიული ტექნიკუმები.

ვაჟებში დაუმარცხებლად იბრძოდა ვაჟთა ორი კოლექტივი — მანქანათმშენებელთა და რკინიგზელთა გუნდები. დაძაბული გამოდგა მათი შეხვედრაც. რკინიგზელებმა ფინალური მატჩი კარგად დაიწყეს, მაგრამ შემდეგ მანქანათმშენებლებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და გაიმარჯვეს კიდეც — 2:0. III ადგილი წილად ხვდა პოლიტექნიკურ ტექნიკუმს, რომელმაც ანგარიშით 2:1 სძლია ტოპოგრაფიული ტექნიკუმის წარმომადგენლებს.

ქ. ჭაჭაია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი საფეხბურთო დღე

ლეს დიდი საფეხბურთო დღეა ევროპული მასშტაბით.

მოსკოვში შედგება სსრ კავშირისა და ბელგიის ნაკრები გუნდების ამხანაგური საწვრთნელი მატჩი. ბელგრადში გაიმართება საპასუხო მეოთხედფინალური შეხვედრა ევროპის პირველობაზე: იუგოსლავიელები მიიღებენ საფრანგეთის ნაკრებს. როგორც ცნობილია, ამ გუნდების პირველი თამაში მარსელში დამთავრდა ფრედ — 1:1.

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან ნახევარფინალის მონაწილენი — „მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი) და „რეალი“ (მადრიდი). ასეთივე ნახევარფინალური მატჩი ჩატარდება უელსის „კარდიფ-სიტისა“ და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „ჰამბურგს“ შორის ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასზე.

ლაიპციგში ერთმანეთს ეთამაშებიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ბულგარეთის ოლიმპიური გუნდები.



1:1

გუშინწინ გამართულ მორიგ კალენდარულ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის გუნდები — ცსკა და „სპარტაკი“.

მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1. სპარტაკელთაგან ბურთი გაიტანეს ვ. იანკინმა, ხოლო ცსკა-ს მხრივ— ვ. უტკინმა.



ᲛᲔᲮᲘᲙᲝᲡ ᲡᲐᲒᲖᲣᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲠᲓᲔᲡᲐ, 23 აპრილი (დეპეშით). ჩვენი ქვეყნის ოლიმპიური გუნდების კანდიდატები ძირითადად სსრ კავშირის ხალხთა IV სიიუბილეო სპარტაკიადამ შეარჩია, მაგრამ ამ დიდი ასპარეზობიდან მეხიკოს თამაშებამდე ბევრი რამ არის მოსალოდნელი. ხდება, რომ ზოგჯერ ოლიმპიადის კანდიდატები სხვებზე უარეს შედეგებს აჩვენებენ და სწორედ ამიტომ სპეციალისტები საკავშირო ტურნირებში ეძებენ ახალ ძალებს.

ტოკიოს ოლიმპიადაში სსრ კავშირის მსროლელთა გუნდმა იმედი ვერ გაამართლა. წარმატება მოიპოვა მხოლოდ სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა შ. ქვეღლიაშვილმა, რომელიც ცოტათი ჩამორჩა ამერიკელ გ. ანდერსენს და ვერცხლის მედალი დაისაკუთრა. ტოკიოს მწარე გაკვეთილიდან ტყვიის სროლის საკავშირო ფედერაციამ სათანადო დასკვნა გამოიტანა: ახლა აქ მეტი გულისყურით ეკიდებიან გუნდის მზადებას. ამიტომაც იყო, რომ ფედერაციამ სპორტის ამ სახეობის საუკეთესო სპეციალისტები მოავლინა ოდესაში, სადაც ჩვენი ქვეყნის უძლიერესი გუნდების შეჯიბრება ტარდება.

ასპარეზობის მონაწილეთ სიურპრიზი ელოდათ: ტურნირი ძველებურად იოლი კი არა, უფრო ძნელი ვარჯიშით — არმიული შაშხანით სტანდარტზე (3×20) სროლითა და პისტოლეტით 5 სილუეტზე სწრაფსროლით დაიწყო. ამასთან, სტანდარტში შეჯიბრება საერთაშორისო წესს (წოლელა, ჩოქელა, დგომელა სროლის თანმიმდევრობის აუცილებელი დაცვა) დაექვემდებარა.

არმიული შაშხანით სტანდარტზე წოლელა და ჩოქელა სროლის შემდეგ დაწინაურდა მოსკოველი ე. კულკინი, რომელმაც 400 შესაძლებლიდან 385 ქულა მოაგროვა. ლიდერთან 3 ქულით აგებდა ვ. ახალაძე (საქართველო), III ადგილზე იყო ვეტერანი ე. კნიაზევი (უკრაინა) — 379.

როგორც ჩანს, მესამე პოზიციისთვის (დგომელა სროლა) სპორტსმენებს ძალა შემოელიათ: კნიაზევმა 168 ქულა მოაგროვა, კულკინმა — 172, ახალაძემ — 174. სტანდარტში გამარჯვება მაინც მოსკოველს დარჩა — 557 ქულა. ახალაძემ მასთან 1 ქულით წაგო და II ადგილს დასჯერდა. III ადგილზე გავიდა უკრაინის გუნდის წევრი ვ. ბაროშეიკო, რომელმაც დგომელა სროლაში ყველაზე კარგი შედეგი მოიპოვა და საბოლოოდ 555 ქულა მოაგროვა.

პისტოლეტით სწრაფსროლაში მოასპარეზე ვაჟებში დაწინაურდნენ ბელორუსიის წარმომადგენლები ი. ბაკალოვი და გ. ვოლინსკი. ბოლო 4-წამიანი სერიის წინ მათ შესაბამისად 594 და 593 ქულა აქვთ. ქალებში ეს ვარჯიში მოიგეს უკრაინელებმა, რომელთაც 1744 ქულა დააგროვეს.

ვ. მარჩუკოვი.

ᲛᲝᲖᲐᲠᲓᲗᲐ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ

გრძელდება ოსტატთა კოლექტივებთან არსებული მოსამზადებელი ჯგუფების რესპუბლიკური ტურნირი.

I ზონა

„დინამო“ (თბილისი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 5:1, „მეტალურგი“ (რუსთავი) — „დილა“ (გორი) 4:0.

II ზონა

„მაღაროელი“ (ცხინვალი) — „დინამო“ (სოხუმი) 4:0, „დინამო“ (ბათუმი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 7:0, „მერცხალი“ (მახარაძე) — „კოლხეთი“ (ფოთი) 1:3, ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლა (გაგრა) — „ენგური“ (ზუგდიდი) 7:1, „შუქურა“ (ქობულეთი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 3:1.

...48 ᲞᲣᲚᲐ ᲛᲝᲣᲤᲐᲜᲐ

ᲙᲘᲠᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲐᲠᲙᲘᲡ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲖᲔ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲩᲔᲛ�პᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲨᲔᲠᲩᲕᲔᲗᲘᲗ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲪ ᲐᲠᲘᲡ.

ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲐ ᲕᲐᲯᲗᲐ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ. ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲐᲜ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲝᲜᲓᲝᲛᲝᲑᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡᲣᲜᲐᲠᲘᲐᲜᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲘᲕ ᲢᲣᲠᲨᲘ ᲛᲝᲛᲨᲐᲕᲐᲚᲘ ᲔᲥᲘᲛᲘᲗ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲢᲐᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡᲣᲜᲐᲠᲘᲐᲜᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲨᲔᲡᲣᲤᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲛᲝᲐᲕᲚᲘᲜᲐ ᲝᲓᲔᲡᲐᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲣᲫᲚᲘᲔᲠᲔᲡᲘ ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ ᲢᲐᲠᲓᲔᲑᲐ.

ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗ ᲡᲘᲣᲠᲞᲠᲘᲖᲘ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲙᲘᲠᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲐᲠᲙᲘᲡ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲖᲔ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲩᲔᲛ�პᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲨᲔᲠᲩᲕᲔᲗᲘᲗ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲪ ᲐᲠᲘᲡ.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡᲑᲔᲜ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲔᲑᲘᲪ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ „ᲪᲘᲡᲐᲠᲗᲧᲔᲚᲐᲡ“ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲐᲡ ᲘᲪᲐᲕᲔᲜ. ᲛᲐᲗ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲝᲘᲪᲔᲒᲚᲘ ᲝᲠᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ: „ᲛᲔᲢᲠᲝᲛᲨᲔᲜᲗᲜᲐᲗ“ (44:42) ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ �გᲣᲜᲓᲗᲐᲗ (53:46); ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲘᲗ ᲙᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲓᲜᲔᲡ (ᲬᲐᲐᲒᲒᲣᲚ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲪᲘᲔᲠᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲗᲐᲗ — 55:59).

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ IV ᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲐᲫᲐᲑᲚᲘᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲖᲘᲨᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ“ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲘᲧᲝ. ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲔᲚᲔᲑᲘ ᲡᲢᲐᲠᲢᲘᲓᲐᲜᲕᲔ ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲓᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲣᲞᲘᲠᲐᲢᲡᲚᲝᲑᲐ ᲗᲐᲠᲘᲡᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲨᲔᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲡ — 39:26. ᲐᲛ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲓᲐᲜᲐᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲓᲐ ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲔᲚᲘ Გ. ᲑᲠᲔᲒᲕᲐᲫᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ 18 ᲥᲣᲚᲐ ᲨᲔᲡᲬᲘᲜᲐ.

ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲓᲜᲔ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲔᲑᲘᲪ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ „ᲪᲘᲡᲐᲠᲗᲧᲔᲚᲐᲡ“ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲐᲡ ᲘᲪᲐᲕᲔᲜ. ᲛᲐᲗ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲝᲘᲪᲔᲒᲚᲘ ᲝᲠᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ: „ᲛᲔᲢᲠᲝᲛᲨᲔᲜᲗᲜᲐᲗ“ (44:42) ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲗᲐᲗ (53:46); ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲘᲗ ᲙᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲓᲜᲔᲡ (ᲬᲐᲐᲒᲒᲣᲚ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲪᲘᲔᲠᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲗᲐᲗ — 55:59).

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ IV ᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲐᲫᲐᲑᲚᲘᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲖᲘᲨᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ“ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲘᲧᲝ. ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲔᲚᲔᲑᲘ ᲡᲢᲐᲠᲢᲘᲓᲐᲜᲕᲔ ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲓᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲣᲞᲘᲠᲐᲢᲡᲚᲝᲑᲐ ᲗᲐᲠᲘᲡᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲨᲔᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲡ — 39:26. ᲐᲛ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲓᲐᲜᲐᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲓᲐ ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲔᲚᲘ Გ. ᲑᲠᲔᲒᲕᲐᲫᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ 16 ᲥᲣᲚᲐ ᲨᲔᲡᲬᲘᲜᲐ.

ᲨᲔᲡᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲐ ᲡᲮᲕᲐᲝᲑᲐ 20 ᲥᲣᲚᲐᲛᲓᲔ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ. ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲔᲚᲗᲐ �გᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲔᲯᲕᲔ ᲐᲚᲐᲠ ᲘᲧᲕᲔᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ: ᲯᲔᲠ ᲒᲐᲐᲗᲐᲜᲐᲑᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲮᲒᲐᲠᲘᲨᲘ (66:66), ᲮᲝᲚᲝ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ 5 ᲬᲣᲗᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲡᲐᲪ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲣᲚ — 76:74. ᲐᲛ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲕᲘᲩᲜᲘᲝᲗ Ი. ᲞᲣᲚᲐᲕᲡᲙᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ 48 ᲥᲣᲚᲐ ᲛᲝᲣᲤᲐᲜᲐ.

ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲯᲠᲘᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲚᲘᲓᲔᲠᲝᲑᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ �გᲣᲜᲓᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲡᲐᲛ ᲗᲐᲛᲐᲨᲨᲘ 6 ᲥᲣᲚᲐ ᲓᲐᲐᲒᲠᲘᲗᲐ. ᲐᲛᲓᲔᲜᲘᲜᲘᲗᲘ ᲥᲣᲚᲐ ᲐᲥᲕᲗ ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲡ, ᲝᲠᲝᲜᲓ 4 ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲓᲐᲜ, ᲗᲘᲗᲝᲗ ᲥᲣᲚᲘᲗ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲘ ᲙᲘ (3 ᲛᲐᲢᲩᲘᲓᲐᲜ) ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ „ᲪᲘᲡᲐᲠᲗᲧᲔᲚᲐᲡ“ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲡ.

ᲥᲐᲚᲗᲐ ᲩᲔᲛ�პᲘᲝᲜᲐᲢᲨᲘ ᲡᲐᲗᲐᲛᲐᲨᲝ ᲓᲐᲠᲩᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗᲘ ᲢᲣᲠᲘ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲝᲡᲐᲚᲪᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲪᲘᲝᲜᲘᲡ — ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ „ᲪᲘᲡᲐᲠᲗᲧᲔᲚᲐᲡ“ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲡ.

ლ. ᲤᲐᲚᲐᲕᲐᲜᲓᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲝᲡᲢᲐᲢᲘ.

ᲝᲥᲠᲝᲡ ᲪᲕᲚᲘᲡᲨᲘ

3. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲑᲝᲚᲝ ᲛᲐᲢᲩᲘ ᲣᲡᲮᲘᲔᲠᲔᲚᲝᲓ ᲩᲐᲐᲢᲐᲠᲔᲡ (ᲘᲒᲘ ᲐᲓᲠᲔ ᲛᲘᲚᲔᲑᲣᲚ ᲢᲠᲐᲕᲛᲐᲡ ᲘᲨᲣᲨᲔᲑᲓᲐ). ᲔᲡ ᲡᲐᲒᲠᲫᲜᲝᲑᲘ ᲓᲐᲜᲐᲙᲚᲘᲡᲘ ᲘᲧᲝ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲐᲛᲘᲠᲐᲜᲘ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ“ ᲡᲐᲛᲔᲠᲝ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲮᲐᲘᲛᲔᲓᲝ ᲓᲐᲠᲐᲯᲐᲓ ᲘᲗᲕᲚᲔᲑᲐ (ᲛᲐᲠᲪᲮᲔᲚᲘ ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲓᲠᲔᲐ ᲒᲐᲓᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ, ᲡᲮᲕᲔᲠᲔᲚᲘ ᲬᲐᲥᲪᲔᲣᲚᲘᲐ). ᲐᲛ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲘᲡ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲐ Ⲙ. ᲭᲝᲠᲥᲘᲐᲛ ᲘᲢᲕᲘᲠᲗᲐ (№ 13) ᲓᲐ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔᲓᲐᲪ!

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ“ ᲣᲫᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲛᲔᲢᲝᲥᲔ — ᲪᲡᲙᲐ. ᲐᲛ ᲝᲠᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲨᲘ ᲝᲪᲘᲓᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲛᲐᲪ ᲘᲑᲚᲐᲠᲗᲔᲑᲝᲓᲐ. ᲝᲚᲝᲜᲓ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲪᲡᲙᲐ ᲘᲧᲝ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲫᲚᲘᲔᲠᲔᲡᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ, ᲐᲮᲚᲐ ᲙᲘ Ი�გᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲢᲘᲢᲣᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲠᲝ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲘ. ᲛᲗᲐᲯᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲐᲓ ᲣᲪᲓᲘᲐᲜ ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲔᲚᲘ Ⲙ. ᲚᲔᲝᲜᲢᲘᲔᲕᲘ (ᲡᲘᲦᲠᲛᲔᲨᲘ) ᲓᲐ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲘ Ⲣ. ᲜᲔᲡᲢᲔᲠᲝᲕᲘ.

* * *

ᲩᲘᲢᲘᲕᲘᲗ ᲛᲡᲣᲑᲣᲥᲘ ᲓᲐ ᲡᲬᲠᲐᲤᲘ, ᲘᲒᲘ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲖᲔ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲓᲐᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ. ᲔᲠᲗ ᲓᲠᲝᲡ Ⲛ. ᲣᲒᲠᲔᲮᲔᲚᲘᲫᲔᲖᲔ ᲐᲛᲑᲝᲛᲑᲓᲜᲔᲜ, ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲔᲚᲔᲒᲐᲜᲢᲣᲠᲘ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲔᲚᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲨᲘᲝ. ᲔᲡ ᲘᲧᲝ ᲚᲘᲠᲡᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲣᲨᲣᲐᲚᲝᲓ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲘᲗ ᲓᲐᲘᲙᲐᲕᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲐᲕᲐᲜ�გᲐᲠᲓᲨᲘ. ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: Ⲛ. ᲣᲒᲠᲔᲮᲔᲚᲘᲫᲔ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲩᲕᲔᲣᲚ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲨᲘ. ᲙᲐᲣᲜᲐᲡᲘᲡ „ᲣᲐᲚᲒᲘᲠᲘᲡᲘᲡ“ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘ Ⲟ. ᲑᲘᲨᲚᲘᲮᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲐᲚᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲬᲛᲘᲡ ᲠᲝᲚᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲔᲡ...





ოქროს ფინიშში

4. ამ დროს ყველაფერი წამის მეათედებში წყდება. დაზარალებული ხელსაყრელ პირობებშია — იგი ჯარიმას ესვრის და, მაშასადამე, ხელს ვერავინ შეუშლის. თანაგუნდელები და მეტოქე (სურათზე: ს. მაღალაშვილი და რიგის ვეფ-ის წევრები) მზად არიან სიუჟეტის გასაგრძელებლად, თუ კი ეს საჭირო შეიქნა. სწორედ ამიტომაა, რომ დინამოელიცა და მისი მეტოქეებიც ყურადღებად არიან ქცეული.





თბილისის „დინამოს“ უფროსი მწვრთნელის ლევან ინწკირველის სახელი მჭიდროდაა დაკავშირებული იმ კოლექტივთან, რომელიც ახლა თავის დიდ წარმატებას ზეიმობს. ოქროს 3 მედლით დატოვა მან სპორტსმენის კარიერა და შეუდგა ცხოვრებას, რომელიც მუდამ აღსავსეა მღელვარე წუთებით, ხან სიხარულით, ხანაც მწარე განცდებით..

მწვრთნელები ყველაზე ადრე გრძნობენ მოახლოვებულ გამარჯვებას და მაინც მას მუდამ ისე განიცდიან, როგორც განსაკუთრებულს, განუმეორებელს.

„დინამოს“ დაუკავშირა თავისი ცხოვრება ჩვენი კალათბურთის ვეტერანმა გიორგი ავალიშვილმაც. თუ ლევან ინწკირველი უშუალოდ ბრძოლის ველზე იხვეჭდა სახელსა და დიდებას, გიორგი ავალიშვილი ამ წარმატებათა მთავარი სტრატეგი იყო, ვინაიდან სწორედ მაშინ ედგა სათავეში დინამოელთა სახელოვან კოლექტივს. ისინი ახლაც ერთად არიან და ერთად ზეიმობენ ქართული კალათბურთის ახალ ტრიუმფს.

* * *

ეს ფრაგმენტი თბილისის „დინამოს“ და ცსკა-ს მატჩიდანაა ალებული. ზ. ქარაბაკი გაბედულად ჩაება მეტოქის ჭარბი ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში. რ. ნესტეროვი ცდილობს დაეუფლოს ფარიდან ასხლეტილ ბურთს. აქვეა ა. მედვედევი, რომელიც ყოველ წამს მზადაა დაეხმაროს თანაგუნდელს.

ფოტონარკვევი ა. საკაკოვისა.
ტექსტი ნ. ბუგაშვილისა.

ეს ნარკვევი გაკეთდა წუხელ, როცა გაირკვა თბილისის „დინამოს“ და რიგის ვეფ-ის მეორე მატჩის შედეგი. ფოტორეპორტიორმა სახელდახელოდ შეკრიბა დინამოელთა თამაშის სახასიათო მომენტები, რომლებშიც, სამწუხაროდ, არ აღმოჩნდა ბ. ბოლქვაძე. არც ფოტოკორესპონდენტი და არც რედაქცია ახალგაზრდა ოსტატის წინაშე ვალში არ დარჩებიან, ოღონდ მან შემდგომშიც ისახელოს თავი და ახალი წარმატებებით გაგვახაროს.

დიდებული ექვსეული

სსრ კავშირის ჩემპიონატის ფინიშზე მწვრთნელთა საბჭომ ტრადიციისამებრ ქვეყნის საუკეთესო ჰოკეისტები განსაზღვრა. აი, დიდებული ექვსეული: მეკარე ვ. კონოვალენკო (გორკის „ტორპედო“), მცველები — ა. რაგულინი (ცსკა) და ვ. დავიდოვი (მოსკოვის „დინამო“), თავდამსხმელები — ა. ფირსოვი (ცსკა), ვ. სტარშინოვი (მოსკოვის „სპარტაკი“) და ვ. ალექსანდროვი (ცსკა).

„ვორონინი ყველას სჯობს“

ჰელსინკი, 22 აპრილი. „ვორონინი ყველას სჯობს“, — ასეთი სათაურებით აქვეყნებენ დღეს ფინური გაზეთები სსრ კავშირისა და ფინეთის ტანმოვარჯიშეთა ამხანაგური შეხვედრის ანგარიშებს. ტურკუს საკონცერტო დარბაზში ორ დღეს მიმდინარე ტურნირში მსოფლიოს ჩემპიონი მიხეილ ვორონინი მართლაც უპოკმანოდ სჯობდა ყველას. მან შეჯიბრების ექვსივე სახეობაში გაიმარჯვა და მრავალჭიდში მაღალი შედეგი აჩვენა — 117,15 ქულა.

მომდევნო ოთხი ადგილიც საბჭოთა ტანმოვარჯიშეებს ხვდათ წილად: ს. დიომიდოვს, ვ. ლისიცკის, ვ. კლიმენკოსა და ვ. ილინიხს. ახალგაზრდა სპორტსმენმა ა. კუდრიავცევმა ფინელ ა. ლისკოსთან ერთად VIII-IX ადგილები გაიყო.

მასპინძელთაგან საუკეთესო შედეგი აჩვენა ი. რაჰიკაინენმა — VI ადგილი. მხოლოდ მეათედ ქულით ჩამორჩა მას მზარდი ათლეტი ჰ. საპინენი.

საერთო გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა ტანმოვარჯიშეებმა 580,45 ქულა მოაგროვეს, ფინელებმა — 562,0.

27-28 აპრილს საბჭოთა ვაჟების ნაკრები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოვა. ამავე დღეებში სსრ კავშირის ქალთა გუნდი უნგრეთში გამართავს მატჩს.

ევროპის თასის ეტაპზე უფრო იოლია?

ბაკო, 22 აპრილი. დღეს აქ ხელბურთელ ქალთა 12 გუნდი ჩაება საკავშირო ჩემპიონატის მეორე ეტაპში. ცენტრალური მოვლენა გახლდათ ლიდერების — მოსკოვის „ლუჩისა“ (რომელსაც 10 ქულა აქვს 10-დან!) და ევროპის თასის მფლობელის — კაუნასის „ჟალგირისის“ მატჩი. ლიტველებმა, რომლებიც დასაწყისში 3 ბურთით დაწინაურდნენ, შემდეგ უპირატესობა მეტოქეს დაუთმეს და საბოლოოდ დამარცხდნენ — 12:13. მოსკოველებს 7 ქულა მოუპოვა გუნდის კაპიტანმა ბობროვამ.

სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: „ლოკომოტივი“ (ოდესა) — „ბურევესტნიკი“ (ჩერკასი) 12:11, „შვიესა“ (ვილნიუსი) — „ტექსტილშჩიკი“ (ტაშკენტი) 17:16, „სპარტაკი“ (კიევი) — „კალინინეცი“ (სვერდლოვსკი) 10:9.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

აკრობატიკა. ლენინის სახელობის სპორტდარბაზი (კონსტიტუციის ქ. № 6). **დღეს: საერთაშორისო შეხვედრა — საქართველო — ბულგარეთი.** დასაწყისი 19 ს.

ჭადრაკი. ცენტრალური საჭადრაკო კლუბი (რუსთაველის პრ. № 48). **24 აპრილი-12 მაისი. საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი.** დასაწყისი 16 ს.

კალათბურთი. სპორტის სასახლე. **25-26 აპრილი.** ვაჟთა გუნდების საკავშირო პირველობა. **„ბურევესტნიკი“ (თბილისი) — ვეფ (რიგა).** დასაწყისი 20 ს.

სიურპრიზები, შეფირვა...

საქართველოს ვაჟთა საჭადრაკო პირველობაში 3 ტურის შემდეგ ლიდერობენ: თ. ლომაია, გ. კალატოზიშვილი, ა. ბოკუჩავა — 2-2 (1-1), ბ. გურგენიძე — 1,5 (1).

III ტური. ე. უბილავა — ა. ბოკუჩავა 0:1, გ. მუკნიაშვილი (გორი) — რ. ჯინჯიხაშვილი 0,5:0,5, ს. მეგრელიშვილი — გ. მაჭავარიანი 0,5:0,5, თ. გიორგაძე — ბ. გურგენიძე 0,5:0,5, თ. დეკანოზიშვილი— ა. წერეთელი 1:0, მ. არჩვაძე (სამტრედია)—გ. კალატოზიშვილი 0:1.

ჯინჯიხაშვილი



მუკნიაშვილი

აი, ამ პოზიციაში ჯინჯიხაშვილმა გააკეთა თუ არა 30. ... მg4, აკიმი შესთავაზა მეტოქეს. მუკნიაშვილმა მყისვე მიიღო წინადადება. პოზიციის შეფასებაში იგი საქართველოს ჩემპიონს ენდო მაშინ, როცა ჯინჯიხაშვილი მწარედ შეცდა.

გორელი მოჭადრაკე მხოლოდ საზაფხულო ხელშეკრულების შემდეგ მიხვდა, რომ იჩქარა. იგი აშამათებდა შავ მეფეს ან ლაზიერს იგებდა აი, ასე:

31. ეe8+ მf8 32. ე:f8+ მფ:f8 33. ლh8+ მფe7 34. ლe8+ მფf6 (თუ 34. ... მფ:d6, მაშინ 35. ლb8+) 35. ლ:f7+ მფg5 (თუ 35. ... მფe5, მაშინ 36. ლe6+ მფd4 37. მb5×) 36. h4+ ლაზიერის მოგებით.

უაღრესად დაძაბული ბრძოლა გაჩაღეს გიორგაძემ და გურგენიძემ. მოჭადრაკეები ერთმანეთს უსახავდნენ რთულ პრობლემებს, რომელთაც ისე წყვეტდნენ, რომ ნიუანსები მაყურებლისთვის ალბათ შეუმჩნეველიც კი დარჩა. თანდათან ორივეს ლაშქარი დაცცრილა და მეტოქეებიც ყაიმზე შეთანხმდნენ.

ძველი დრო გაგვახსენა სამტრედიელმა არჩვაძემ. მან გაითამაშა მუციოს გამბიტი, რომელსაც ჯერ კიდევ სახელგანთქმული ქართველი მოჭადრაკე ა. დადიანი იყენებდა ამ 100 წლის წინათ. დღეს საკმაოდ მაღლა დგას დაცვის ტექნიკა. ამიტომ კალატოზიშვილმა იოლად შეინარჩუნა შემოწირული მხედარი და 23-ე სვლაზე გაიმარჯვა კიდეც. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს მეფის გამბიტი არჭიეს უნდა ჩაბარდეს. საჭიროა უფრო ფხიზლად ითამაშო იგი და მხოლოდ პაიკის შეწირვით დაკმაყოფილდე.

წერეთელი ახლოს იყო გამარჯვებასთან, როცა 37-ე სვლაზე ოთხი ეტლის ენდშპილში, სადაც მას ზედმეტი პაიკი ჰქონდა, საათზე ალმი ჩამოუვარდა — წაგება.

უბილავას ქომაგნი წუთით წუთს ელოდნენ ბოკუჩავას მარცხს, მაგრამ თამაშის ჩარხი უეცრად შეტრიალდა. ბოკუჩავამ გონებამახვილურად გამოიყენა იერიშით გართული უბილავას მეფის დასუსტება: მხედრისა და ეტლის შეწირვით ლაზიერი თეთრ გვირვინოსანს მიეჭრა და ფარ-ხმალი დააყრევინა.

ორი პარტია გადაიდო. ლომაიას ზედმეტი მხედარი აქვს ა. ბრეიტმანთან და უნდა მოიგოს, ხოლო შ. თოთლაძე (გორი) — ზ. მიქაძის პარტიაში ყაიმია მოსალოდნელი.

თ. გიორგაძე.

მ. სანაძის სასახელო ფინიში

დამთავრდა საქართველოს ქალთა V საერთაშორისო ტურნირის შესარჩევი შეჯიბრება. აი, მისი შედეგებიც: ც. კობაიძე — 9, თ. ხუგაშვილი, მ. სანაძე — 8-8, ნ. ხუბულური, ნ. ჩიქობავა — 7,5-7,5, დ. გამყრელიძე (ქუთაისი) — 6, ც. კახაბრიშვილი, მ. ჩომახიძე, ს. ივანოვა, ლ. კოროშინაძე — 5,5-5,5, თ. კეპარავა, ნ. გიორგაძე (ბათუმი) — 4-4, ნ. ბაღაშვილი — 2.

ნამდვილი სასწაული მოახდინა თბილისის 61-ე საშუალო სკოლის მეცხრეკლასელმა მანანა სანაძემ, რომელმაც დასკვნითი სამი შეხვედრა მოიგო. იგი დაეწია ხუგაშვილს, რომელიც არ ელოდა ნიჭიერი გოგონას ამგვარ ფინიშს და ბოლო ტურში გამყრელიძეს ყაიმზე შეუთანხმდა.

ამ წარმატების მიუხედავად, კოეფიციენტთა ცხრილით სანაძე მხოლოდ III ადგილზე გავიდა. ახლა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ უნდა გადაწყვიტოს, ძალაში დარჩება კოეფიციენტთა ცხრილის მონაცემი, თუ საერთაშორისო ტურნირის მეორე საგზურისთვის ხუგაშვილი და სანაძე დამატებით მატჩში შეხვდებიან ერთმანეთს.

საერთაშორისო ტურნირში, რომელიც 10 მაისს დაიწყება თბილისში, 10 ქვეყნის 16 მოჭადრაკე ითამაშებს.

თ. ნინოშვილი.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 04055